

ლელო

1972 წ.
№ 10 15 იანვარი,
(4520) შაბათი,
ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან

ი. როდინსა
და
ა. ულანოვი
— მეოთხედ!
კვლავ
ო. ნავალა

● **პარიზი, 13 იანვარი.** საბჭოთა ძალოსანს, მსოფლიოს ყველაზე ღონიერ ადამიანს ვ. ალექსეევს საფრანგეთის სპორტის აკადემიის პრეზიდენტის პრემია მიენიჭა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ალექსეევი ჯილდოვდება 1971 წელს მოხვეჭილი წარმატებებისთვის, სპორტული გმირობისთვის. აკადემიის პრემია მიენიჭა, აგრეთვე, ფესტრალიელ მოცურავეს, მსოფლიო რეკორდსმენს შ. გოულდს.

● **სიღნაღი, 13 იანვარი.** ავსტრალიელმა მოცურავეებმა მსოფლიო რეკორდებზე იერიში დაიწყეს. შ. გოულდის შემდეგ თავი გამოიჩინა ბ. კუპერმა, რომელმაც 800 მეტრი თავისუფალი სტილით 8 წუთსა 23,8 წამში დაფარა და 4,8 წამით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც მის თანამემამულე გ. უინდიტს ეკუთვნოდა.

● **პასტინკინი, 13 იანვარი.** აქ გამართულ სახალწლო საკლარაქო ტურნირში 18 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები. ა. კარპოვს 10 ქულა აქვს. მას 0,5 ქულით ჩამორჩება ვ. კორჩნოი. პირველმა XII ტურში ფრედ დამთავრა პარტია ანდერსონთან (შვეიცია), ნომდევნოში კი ასეთივე შედეგი ჰქონდა არგენტინელ ნაილორფთან. კორჩნოიმ მოულოკურაიციას (იუგოსლავია) და უნიციერს (გერ.)

● **პიკა 35 წამი, 13 იანვარი.** პოლანდიის ამ ქალაქში სტარტი აიღო საერთაშორისო საკლარაქო ტურნირმა, რომელშიც სხვებთან ერთად გამოდიან საბჭოთა დიდოსტატები — სმისლოვი და სავონი. პირველ ორ ტურში ჩვენმა მოკლარაქეებმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები: სმისლოვმა — პორტთან (ჩეხოსლოვაკია) და ადორიანთან (უნგრეთი), სავონმა კი იეკოვთან და ლიუბოვიჩთან (ორივე — იუგოსლავია).

● **ბრუნინგანი, 13 იანვარი.** აქ ფინიში ჰქონდა ჭაბუკ მოკლარაქეთა ევროპულ ჩემპიონატს. ჩემპიონი გახდა საკი (უნგრეთი), II ადგილი დაიკავა ბორნასერმა (გერ.), III და IV ადგილები გაიყვეს ველიკოვმა (ბულგარეთი) და კაიშაურმა (შვეიცია).



ყარაგანდის ახალ ხელოვნურ საცი-გურაბოზე დაიწყო ფიგურული ციგურაობის სკოლის ახალი სასწავლო წელი. ეს სკოლა სასწავლოდ „ენბევის“ სათავეს საბჭოთა მიქსმა. წლებიდან ნაკადი ყველაზე მასობრივი იყო — შეკადინებამ შეუდგა 300 ნორჩი სპორტსმენი. ახლა ფიგურისტთა საწვრთნელი შეკადინებები და შეჯიბრებები მთელი წლის მანძილზე ჩატარდება. ყარაგანდა.

ჩვენს მოსახლეობას

ყინული მთელი წლის განმავლობაში

ყარაგანდის ახალ ხელოვნურ საცი-გურაბოზე დაიწყო ფიგურული ციგურაობის სკოლის ახალი სასწავლო წელი. ეს სკოლა სასწავლოდ „ენბევის“ სათავეს საბჭოთა მიქსმა. წლებიდან ნაკადი ყველაზე მასობრივი იყო — შეკადინებამ შეუდგა 300 ნორჩი სპორტსმენი. ახლა ფიგურისტთა საწვრთნელი შეკადინებები და შეჯიბრებები მთელი წლის მანძილზე ჩატარდება. ყარაგანდა.



თოვლი თბილისში. მ. ზარგარიანის ფოტო.



გეტებორგში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. აქ შესანიშნავად გამოვიდნენ მოსკოველები ი. როდინსა და ა. ულანოვი, რომლებმაც კონტინენტის ჩემპიონობა შეთხედ მოიპოვეს წყვილთა სრიალში — 420,0 ქულა. მათ 2,6 ქულით ჩამორჩნენ ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი.

III ადგილზე გავიდნენ გდრ ის წარმომადგენლები მ. გროსი და უ. კაგელმანი — 411,8. ჩემპიონატის დებიუტანტებმა — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ი. ჩერინაევამ და ვ. ბლაგოვმა VI ადგილი დაიკავეს — 394,8. 13 იანვარს გვიან დამით დამთავრდა ვაჟთა ასპარეზობა, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა, ჩეხოსლოვაკიელმა ო. ნეპელამ — 2781,7 ქულა. II ადგილზე გავლდა სსრ კავშირის ჩემპიონი ს. ჩეტვერუსინი — 2687,5. III ადგილზე დარჩა ფრანგი პ. პერა — 2657,0. სურათებზე: მარცხნივ — ა. ულანოვი და თ. როდინსა; მარჯვნივ — ო. ნეპელა და მწვრთნელი მ. გულდა.

ტანვარჯიში - 72

შეჯიბრება ოლიმპიურ ფიცარანგზე, რომელიც 27 აგვისტოს დაიწყება და 1 სექტემბრამდე გასტანს, 1972 წელს მთავარი ასპარეზობა იქნება საბჭოთა ტანვარჯიშეებისთვის.

სსრ კავშირის ტანვარჯიშეები ოლიმპიურ სარბიულზე პირველად 1952 წელს გამოვიდნენ (ჰელსინკი) და მას შემდეგ ბევრი მედალი თუ ქულა შეიტანეს სსრ კავშირის ნაკრების „ყულაბაში“. მ. გოროხოვსკია, ლ. ლატინინა, ვ. ჩუკარინი და ბ. შახლინი ოლიმპიურ ასპარეზობათა აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ. ლატინინამ და ჩუკარინმა ორ-ორი დიდი ოქროს მედალი მოიპოვეს. საბჭოთა ტანვარჯიშე ქალთა გუნდმა ხუთივე საზღვარსაღარეო თამაშებში გაიმარჯვა, ვაჟები კი ორჯერ იყვნენ პირველნი.


წლებანდელი შეჯიბრებები — საკავშიროცა და საერთაშორისოც — ისე დაიგეგმა, რომ ოლიმპიური ტურნირისთვის ტანვარჯიშეები სპარტოლო ფორმში იყვნენ, სეძლონ ჯერ კიდევ მიუზღვრამდე შეამოწმონ თავიანთი ძალა მომავალ მეტოქეებთან ბრძოლაში. იანვრის ბოლოს ნავარაუდევია მოწინავე საბჭოთა ტანვარჯიშეთა ჯგუფის გამოსვლა კოლეს (გერ) საერთაშორისო შეჯიბრებაში. მარტში ძალებს შეამოწმებენ უნგრეთისა და სსრ კავშირის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. აპრილში რიგაში ჩატარდება მეორე საერთაშორისო ტურნირი მრავალი ქვეყნის უძლიერეს ტანვარჯიშეთა მონაწილეობით. ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად და მოწინავე ოსტატთა მზადყოფნის შესამოწმებლად დიდი მნიშვნელობა ექნება სსრ კავშირის სპორტსმენთა მასის მატრებს გდრ-ისა და ფრ-ის ტანვარჯიშეებთან.

ოლიმპიადისთვის გუნდის საბოლოო შერჩევა მოხდება ივლისის დამდეგს სსრ კავშირის თანხის გათამაშებისა და მრავალქილის ცალკულ სახეობებში საკავშირო პირ-

ველობის დამთავრების შემდეგ (შეჯიბრებები მოსკოვში ჩატარდება).

ამას გარდა, მოეწეობა ბევრი სხვა საინტერესო შეჯიბრებაც. მათგან მთავარია სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი კიევში 30 მარტიდან ნ აპრილამდე. უნდა აღინიშნოს ყველაზე ორიგინალური ან რთული კომპოზიციების დათვალიერება-კონკურსი მრავალქილის ცალკეულ სახეობებში. ეს შეჯიბრება, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა ტანვარჯიშის ნოვატორთა შორის, ლიბეცკში ეწყობა თებერვალში.

ნაკრები გუნდების რევერის მომზადებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლების ასპარეზობამ, რომელიც პირველად ეწყობა. შეჯიბრება აპრილის თვეში გაიმართება ვლადიმირში, ეს ქალაქი შემთხვევით არ შეურჩევიათ. ვლადიმირის ნორჩ ტანვარჯიშეთა სკოლამ ბევრი კარგი ახალგაზრდა ოსტატი აღზარდა, მათ შორის ევროპის ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი. თებერვალში დაგეგმილია სსრ კავშირისა და უნგრეთის იუნიორთა ნაკრები გუნდების მატჩი. აპრილში სსრ კავშირის ნორჩი ტანვარჯიშეები გდრ-ში გაემგზავრებიან. ფელს-ში მათ ელით ტანვარჯიშეთა ტურნირი კიევში მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. იმავე თვის მიწურულს სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გამოვა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა ტანვარჯიშეთა ტრადიციულ შეჯიბრებაში „დრუბა“, რომელიც აქერად ბულგარეთში ტარდება.



საქართველოს საპროფესიო სპორტის სადასრულებელი



ყველაზე უკეთესი — 8. ლაუზონი

ლონდონის გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ ჩაატარა კონკურსი „ვინ იყო ინგლისის № 1 ცენტრალური თავდასხმელი ყველა დროის მანძილზე?“

აი, მისი შედეგები: 1. ტ. ლაუზონი (1936-55 წ.წ., ხმების 28 პროცენტი), 2. დ. დინი (1923-28, 12 პროც.), 3. ტ. ტეილორი (1951-58, 11 პროც.), 4. მ. ჩიკერი-

სი (თამაშობს 1962 წლიდან, ნაკრების ახლანდელი ცენტრფორვარდი, 10,5 პროც.), 5. ნ. ლოფტჰაუსი (1946-60, 6 პროც.), 6. ჯ. მელბურნი (1946-57, 5,5 პროც.), 7. ჯ. კემსელი (1923-39, 4,5 პროც.), 8. ტ. დრეივი (1932-45, 3 პროც.), 9. ს. მორტენსენი (1939-58, 2 პროც.), 10. ბ. სმიტი (1952-65, 2 პროც.).

ჩაფიქრებას საპროფესიოს

ქრნალის სტამბის გამოთვლით, ინგლისის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელების ასაკი 1974 წლისთვის, როცა მიუნხენში მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი გათამაშდება, ასეთი იქნება: ბენქსი—36 წლისა, მალერი—32-ს, მური—

33-ს, პერსტი — 32-ს, პიტერსი — 30-ს.

ვინ შეცვლის მომავალში მათ, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატი?

საპროფესიო არ აღიარებენ

მას ზედაზე, რაც დ. რიერამ ზილეს ნაკრებს III საპროფესიო ილიკო ააღებინა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, ბევრმა წყალობა ჩაიარა. მწვრთნელმა დიდი პაპულარობა მოიპოვა ფეხბურთის სამყაროში, სთავაზო ედგა არაერთ ცნობილ უცხოურ კლუბს, მაგრამ საპროფესიოში მას არაფერი სთავა-

ზობს წამყვან გუნდებთან მუშაობა. 1971 წელსაც, როცა რიერამ ვერტოპიდან საპროფესიოში დაბრუნდა, მას ჩილემი კვლავ არაფერი „გამოეხმარა“. რიერამ იცადა, იცადა და წინადადება მიიღო არგენტინიდან. ახლა იგი „ბოკა ხუნიორსის“ მთავარი მწვრთნელი გახდა.

პეპრიკული შესხურები

ყოველ ოქტომბერსა და ნოემბერში, შაბათობით, უზარმაზარი სტადიონების ტრიბუნებზე წეშის არ ჩავარდება. უამრავი მაყურებელი უდიდესი ანტენისით აღიჭრება თვალს საფეხბურთო მინდორის მწკრივ ხალხიან გაფანტულ 22 სპორტსმენის სასტიკ ბრძოლას. გაისმის სასტიკების ხმა და ფუტბურის სუბსტიმული ხმები სტადიონის მყისვე იზრდება. ვიდაც ჩასლენილი ხმით მოწყვეტილ იხვრის რაღაც სიგნალებს. ორივე გუნდი მინდორს შემოიბრუნებს და იწყება მწკრივ დაპყრობის ბრძოლა. მდღევანდელი შეპყრობილი მაყურებლები ყვირიან, ადგილზე ცმუკავენ, ცდილობენ მატჩის არც ერთ წერილობრივ დეტალსაც კი არ გამოიხრეთ. საქმეში ჩაუსხვდათ კაცსა ერთმანეთს შეიძლება ვერც კი გაჩინოს, მოცემულ მომენტში ვისა აქვს ბურთი ან საერთოდ რა ხდება მინდორზე. მაგრამ ამ დროს ერთ ტრიბუნაზე აღტაცების გინასი დგას, მეორეზე კი სამარისებური სიმუშა გამოფრებული და ამის მიხედვით შეუცდომლად შეიძლება გამოიცნო მინდორზე განადგურებული ბრძოლაში გამარჯვებული. მამინვე გასმის დეტალების სმაც, რომელიც ბოლო მწკრივზე შეტაკების შედეგს აცხადებს.

გადაწყვეტეს სიფრთხილის მიზნით გარეგნობა გამოეცვალათ. მაგალითად, ბევრმა საოცრად გრძელად დაიქნა ხმა, რათა თავიანთი დაჯახების დროს ტკივილი ნაკლებად უგრძობი. ცოტა უფრო გვიან მოთამაშებმა დახვეწილი მათეულის ჩაფხუტები გაიკეთეს. ახლა ფეხბურთელები ტყავის ჯაფანს იკეთებენ, ოღონდ ისე, რომ მოძრაობაში ხელი არ შეეშალოთ.

მიუხედავად იმისა, რომ თამაშის წესები და ტაქტიკა შეიცვალა, ამერიკული ფეხბურთის დღემდე ფიზიკური ბრძოლის ხასიათი ქვეს. საფეხბურთო მინდორი სარგშით 91 მეტრია. თამაშის მთავარი მიზანია ბურთის წინ წაწევა მეტოქის დაცვის გადალახვით და პირით ხაზს იქით გატანა. ამერიკულ ფეხბურთში გოლად მარტო ბურთის კარში გატანა არ ითვლება. ამას სჭირდება მოიერიშე გუნდის მრავალფეროვანი ტაქტიკური ხერხების მთელი სერია, ათასხარის ხრიკები და ეშმაკობა, რათა მეტოქეს ვეგრძლი აღარონ და პოზიციები დააგარჯონ. თავდასხმელებს უფლება არა ქვეთ ხელით შეეზონ მეტოქის მოთამაშეებს. მათ მხოლოდ ტანით შეუძლიათ მიქმედება, როცა თავიანთ ბურთიან მოთამაშეს იცვენ. იმ გუნდს, რომელიც თავს იცავს, შეუძლია ხელეხსაც მსცეს გასაქანა, რათა შეტევა მოიგერიოს და ბურთიანი მოთამაშე დაიჭიროს. მათი მიზანია შეაჩერონ ბურთიანი მეტოქე, უფრო ხშირად კი მოცლონ და მიწაზე გააკრან. ბურთით წინ გატრის ცდას „დაუნი“ („მიწაზე დამეგება“) ჰქვია. და ყოველთვის, როცა მეტოქე შეძლებს ბურთიანი მოთამაშის წინსვლა შეაჩეროს, თამაში წყდება. თუ მოიერიშე მხარე იახი „დაუნი“ განმარტობაში 10 მეტრზე მეტით ვერ წავა წინ, იგი იძულებულია ბურთი მოწინააღმდეგე მხარეს დაუთმოს და დაცვაზე გადავიდეს.

გან თავის დასაღწევად, რომელიც ადგილებს იცვლის და თან ფიზიკურად აღიჭრება თვალს მეტოქის მოქმედებას. მაგრამ სწორედ ეს მოჩვენებითი უპოქმედობის 45 წუთი ანაჩვენს მაყურებელს ყველაზე დიდ სიამოვნებას.

თითოეულ გუნდში 11 მოთამაშეა და ჩვეულებრივი განლაგების დროს ასე გამოიყურება: მოიერიშე გუნდის შვიდი მოთამაშე ბურთის პარალელურად ერთ რიგად დგება. ისინი მიწისკენ დახრილი დგანან და მზად არიან, რომ მსაჯის პირველი ნიშანზე წინ გაეციონ. ეს შვიდი კაცი ჰმნის ეგრეთ წოდებულ „მწკრივს“. მათ უფრო „მიწე წონის“ და ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეებიან არჩევენ. ერთ-ერთი მათგან „ცენტრია“. იგი უშუალოდ იხრება ბურთზე, რათა მსაჯის ნიშანზე ხელი სტაცოს მას და ფეხებს შორის უკან ტყორცნოს პარტნიორსკენ. ამ უკანასკნელმა ბურთი წინ უნდა ატაროს. „მწკრივს“ უკან დგას დანარჩენი თხზი მოთამაშე, რომელთაც ყველას შეუძლია ბურთით წინ გაიჭიროს. ამ თხზეულს შესაბამისად ასეთი სახელები თამაშის წარმართავს „ფულბეკი“ და „პაფიკი“. „პაფიკებს“ (ორნი არიან) ჩვეულებრივ უფრო სწრაფი მოთამაშეებისგან, კარგი ნიშნებისგან არჩევენ, ვინაიდან მათ დაცვის ხაზს ფლანგიდან უნდა შეუტონ. „ფულბეკი“ წინით სხვებზე მიშეა. მას ყველაზე ხშირად უსდება წინ გატრა, დაცვის ხაზის გარღვევა. თამაშის წარმართავს „კვარტერბეკი“ — გუნდის სტრატეგი, რომელიც უფრო თვითონ ატარებს ბურთს ან ხელს უშლის დაცვის მოთამაშეს ბურთით წინ გატრით თავდასხმელების დაჭერაში.



შემოღებამ. გადაცემის დროს ცენტრიდან ბურთის მიმღები მოთამაშე წინ კი არ გაბრის, არამედ ბურთიანად უკან იხევს, ცდილობს დაუსხლტეს მეტოქის, ხანამ მისი გუნდის რომელიმე წევრი დაცვას არ გაეშკაფება. მამინ წურთი სწრაფად გადაეცემა ამ უკანასკნელს. თუ იგი ბურთს ვერ დაიჭრის, ან დაიჭრის, მაგრამ გაუვარდება, მოთამაშე შეჩერდება და ბურთი უბრუნდება მოიერიშე გუნდს, იმ ადგილზე, საიდანაც იგი პირველად გადაცემს. როცა დაცვის მოთამაშე გადაიჭრის მიღებას ახერხებს, მას შეუძლია მეტოქის კარისკენ გაიქცეს, რადგან დაცვა ბურთის მიღებისთანავე თავდასხმად იქცევა.

ბურთის მიწაზე დამეგება მინდორის პირთის ხაზს უკან მხოლოდ ერთ-ერთია იმ თხზი ხერხიდან, რომლებშიაც მეტოქეებს ქულები ვეღვათ. ამას „ტან დაუნი“ ჰქვია და ნ ქულებს ნიშნავს. იქვე შეიძლება კიდევ ერთი ქულის მიღება, თუ ფეხბურთელები კარგად გამოიყენებენ თავისუფალ დარტყმას 40 მეტრიდან. ქულების მიღების სხვა ხერხია „ფილდგოლი“ — ბურთის გატანა თამაშის მომენტში, რაც 3 ქულებს იძლევა. ამ ხერხს უფრო პროფესიონალები იყენებენ, რადგან მათ კარი უფრო ახლოს უდგათ. თუ მოთამაშე საკუთარი მოედნის პირთის ხაზს უკან არის ბურთიანად გადასართლილი, მისი გუნდი 2 ქულას კარგავს.

ასეთი სურათები ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხეში შეიძლება იხილოთ. ფეხბურთი ამ რეგიონში, თუმცა დასაბამს ინგლისური რეგებისგან იღებს, ახლა მხოლოდ ნაწილობრივ ჰგავს თავის წინამორბედს და მკვეთრად განსხვავდება იმ ფეხბურთისგანაც, რომელსაც მთელს მსოფლიოში თამაშობენ.

ამერიკის შეერთებული შტატებში ამ თამაშს პოპულარობით ტოლი არ მოუძებნება. მხოლოდ ბეისბოლს შეუძლია მას მეტოქეობა გაუწიოს.

ამერიკულმა ფეხბურთმა მნიშვნელოვანი ფოლკლია განიცადა მას შემდეგ, რაც 1859 წელს პირველი მატჩი მოეწყო ქვეყნის აღმოსავლეთის ორი კოლოჯის — პრინსტონისა და როჯერსონის საუნივერსიტეტო გუნდებს შორის. მამინ სპორტსმენებს შორის უხეში, არარეგულირებული ბრძოლა გაჩაღდა. ეს უფრო აშკარა, ხელნარეული ომი იყო. შემდეგ ფეხბურთელებს ათამაშის სტილი არ შეუცვლიათ, მაგრამ

როგორც კი დამეგული გუნდი მეტოქის ბურთიან მოთამაშეს დაიჭრის, სასტიკების ხმაც გაისმის. თამაში წყდება და ორივე გუნდი ახალი „დაუნი“ იწყებს.

მატჩი ერთ საათს გრძელდება. მაგრამ გამოანგარებულთა, რომ თამაშს 15 წუთი სჭირდება. დანარჩენი დრო მოიერიშეებს სჭირდებათ დაცვის-

ამერიკის შეერთებული შტატებში ფეხბურთის განვითარების პირველ პერიოდში ეს იყო თამაში, რომელსაც მხოლოდ უხეშობა და ფიზიკური ძალა სჭირდებოდა. მაგრამ შემდეგ თანდათან საჭირო გახდა მოქნილობა, ეშმაკობა, სწრაფი ტემპი. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გადაცემის



სურათზე: უკეთესი — რეი ნიჩე; თამაშის მომენტები.

ახალი ღირებულება

რაც უფრო ახლოვდება ზამთრის ოლიმპიადი, მსოფლიო თასის გათამაშება მით უფრო დაძაბული ხდება სამთოსათხილამურო სპორტში. სპორტსმენები ცდილობენ თებერვლის ბირველი ნახევრისთვის საუკეთესო ფორმას მიადგინონ.


მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპები ობერ-შტაუფენში (გფრ), მარბორში (იუგოსლავია) და ბერტესგადენში (გფრ) მოეწყო. ობერ-შტაუფენში ქალები სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში ასპარეზობდნენ. აქ შეჯიბრებამ დაწინაურა 20 წლის ფრანგი ფ. მარჩი, რომელიც ორივე დისციპლინაში იმარჯვა (გიგანტურ სლალომში მის შედეგს უკვე ეტიყობინებოდათ). სპეციალურ სლალომში კი ტრასის ვარჯიშის ორი ცდით 1.18.57 (34,82+43965) მოხლოდა. მარჩის 125 ქულა დაუტოვდა და თასის მარმანდელ გათამაშებაში გამარჯვებულ ასტრიულ ა. პრიოლს 27 ქულით უსწრებს ამ ეტაპის შემდეგ III ადგილზეც ფრანგი სპორტსმენი ჟ. რუგიე გახლდათ. მაგრამ მარჩი მოწინავე პოზიციების მოპოვებას არ დასჯერდა. მარბორში, სადაც ქალები ერთმანეთს 1020-მეტრიანი გიგანტური სლალომის ტრასაზე ეჯიბრებოდნენ (სიმაღლეა სხვაობა—265 მ, 48 კარი), მან შეჯიბრება ორი ცდით 2 წუთსა და 11,69 წამში დაამთავრა, რითაც თავის აქტივს კიდევ 25 ქულა დაუმატა. პრიოლს (2.13,57) ფრანგმა მ. ჟაკობაც (2.12,52) აჯობა. გაეცემა ბერტესგადენში ჟერ სტეცილურ, შემდეგ გიგანტურ სლალომში ისასპარეზეს. სპეციალური სლალომის ტრასა ყინულოვანი იყო, რაც სპორტსმენებისგან დიდ ისტატობას მოითხოვდა, რომ ნებადართული სისწრაფისთვის არ გადაეჭარბებინათ ან მეტისმეტად ნელო“ არ ევლოთ.

88 მონაწილიდან დისტანცია 28 კაცი დაამთავრა. ორი ცდით ყველა აჯობა ფრანგმა ა. დიუვილიარმა, რომელმაც 600-მეტრიანი მონაკვეთის სპორტ გოვას (სიმაღლეა სხვაობა 180 მ, ორივეჯერ — 67 კარი) 1 წუთი და 39,36 წამი მოხლოდა. II ადგილზე გავიდა მ. როკერი (გფრ) — 1.39,79, III — პოლონელი ა. ზაპლეა — 1.59,89.

გიგანტურ სლალომში (მონაწილენი აქაც ორ-ორჯერ ეშვებოდნენ) ბელმა ფრანგ რ. როსსა-მინიოს გაუტოლა — 2.07,65. დიუვილიარმა ჩააგა ვერ მიიღო, მაგრამ თასის გათამაშებაში 49 ქულით მანვე დაეფრთხა. აქ II ადგილზე გავიდა ვაჟთა მსოფლიო თასის მარმანდელი ფოლბელი იტალიელი გ. ტონი (2.07,99) და ხერთო ჯამში ლიდერთა რიგებში მოხვდა.

თასის გათამაშებაში ყველა ეტაპის ჯამში II და III ადგილებზე არიან აფხაზური ე. მუსხერი და მსოფლიო ჩემპიონი ფრანგი ჟ. ოქი, რომელსაც 40-40 ქულა აქვთ. 38 ქულით IV ადგილზეა შვეიცარიელი ვ. ტრეში, რომელმაც ბერტესგადენში გიგანტურ სლალომში III ადგილი მოიპოვა — 2.08,49.

რედაქციის მოადგილე გ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 880008), დეპარტამენტი 03131 — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქციის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიქსურულტურული და მისწავლედ და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 56 71, 93 97 56, ჰალარაის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მენეჯენტთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომწვეები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.